მზია ტყავაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ჰაჯი-მურადის პოლიტიკური პორტრეტისათვის
(ნაწილი I)

„მე, ჰაჯი-მურადი და ხუნძეთის მაშინდელი მმართველი (ხანი) ომარ-ხანი, ყაზი-მოლას დროს ვიყავით მშვიდობიანები. ამის გამო ყაზი-მოლა ჩვენ გვმტრობდა და ყველა საშუალებით ცდილობდა ხუნძეთი მიემხრო“ [6, 525] – ასე იწყებს რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაჩინო მეთაური ჰაჯი-მურადი თავის პოლიტიკურ ბიოგრაფიას, რომელიც მისი ცხოვრების შესწავლისთვის ძირითადი წყაროა და რუსეთის მხარეს მისი გადასვლის (1851 წლის 23 ნოემბერი) [6, 525] შემდეგ გვარდიის როტმისტრ ლორის-მელიქოვის სახელზეა დაწერილი. პირველ პირში დაწერილი მოხსენებითი ბარათი ლაკონური და უშუალოა.

აშკარაა, რომ ჰაჯი-მურადს თავისი განვლილი ცხოვრების შესახებ კითხვებს უსვამდნენ და მის პასუხებს იწერდნენ, რომელსაც ბოლოს გაუკეთეს რედაქტირება და ოფიციალური დოკუმენტის სახე მისცეს. ეს პროცესი რამდენიმე დღის (შესაძლოა კვირის) განმავლობაში გრძელდებოდა და მასში ჩართული იყო თარჯიმანი. მოხსენებით ბარათს ასეც ეწოდება: ჰაჯი-მურადის მონათხრობისა და ჩვენებების მიხედვით ლორის მელიქოვის მიერ გაკეთებული ჩანაწერი [6, 525-530].

კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის თქმით, ლორის მელიქოვს „ასეთ პიროვნებებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა“ [13, 185]. სწორედ მისი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა ჰაჯი-მურადი ჩრდილო კავკასიიდან ტიფლისში გადმოყვანის შემდეგ (ნუხაში გამგზავრებამდე – 1852 წლის 18 აპრილამდე) [6, 538].

ჰაჯი-მურადის პოლიტიკური ბიოგრაფიისთვის მოხსენებითი ბარათი არ არის ერთადერთი წყარო. მისი ცხოვრების ზოგიერთი დეტალის დაზუსტება კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მოხელეების ოფიციალური წერილებიდან, დაღესტნელი ისტორიკოსების: მუჰამედ ალ-კარახის (შამილის ბიოგრაფი), ალკადარის, რუსი ავტორების: ა. ნეევეროვსკის, ვ. პოტტოს და სხვათა ნაშრომებიდანაც ხერხდება.

ჰაჯი მურადი წარმოშობით ხუნძახის სახანოდან, აულ ცელმესიდან იყო. მისი დაბადების დღის შესახებ პირდაპირი ცნობები არ გვაქვს, მიუხედავად ამისა მკვლევრებმა, სხვადასხვა მონაცემების ურთიერთშეჯერებით, მისი ამ ქვეყნად მოვლინების დრო მიახლოებით განსაზღვრეს (1815, 1816, 1818 წლები). მოყვანილი თარიღებიდან ჩემთვის ყველაზე მისაღები 1815 წელია. ამ შემთხვევაში ამოსავალ წერტილად მივიჩნევ ჰაჯი-მურადის მოხსენებით ბარათში არსებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ის 1830 წელს დაღესტანში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდა (იგულისხმება ყაზი-მოლას თავდასხმა ხუნძეთის სახანოს ცენტრ ხუნძახზე), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ დროს ის სრულწლოვანი, ანუ დაღესტნელთა ტრადიციის მიხედვით, 15 წლის იყო [9, 325]. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ იგი 1815 წლის შემდეგ ვერ გაჩნდებოდა.

რაც შეეხება მის ბავშვობას, ვერ გავიზიარებ სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ მისი ბავშვობის შესახებ არაფერია ცნობილი [13, 160]. ჰაჯი-მურადი იყო ხუნძეთის ხანის აჰმედის ვაჟების ძიძიშვილი, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. კერძოდ კი, აღნიშნული ინფორმაცია მისი ოჯახის სოციალურ მდგომარეობაზე და სტატუსზე გვიქმნის წარმოდგენას. ხუნძეთში არსებული ტრადიციით, ხანები თავიანთ შვილებს მხოლოდ პირველი ხარისხის უზდენის ოჯახში აძიძავებდნენ, პირველი ხარისხის უზდენები მეორე ხარისხის უზდენებთან და ა. შ. [9, 324]. ამ ცნობაზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ჰაჯი-მურადის ოჯახი პირველი ხარისხის უზდენის კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

პირველი ხარისხის უზდენები მძლავრი და გავლენიანი ფენა იყო დაღესტანში.

კავკასიის მთიელებში ძუძუმტეობა სისხლით ძმობაზე წმინდად მიიჩნეოდა [9, 324].

ოჯახს, რომელსაც ხუნძეთის ხანის ვაჟი დაბადებისთანავე მია-

ბარეს, მისი სათანადოდ აღზრდა უნდა უზრუნველეყო. კავკასიაში ვაჟების ჩამოყალიბებაში სამხედრო ჩვევების განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ხუნძეთის ხანის ვაჟის საუკეთესო მეომრად აღზრდა ძუძუმტის ოჯახის მთავარი მოვალეობა და მამამძუძის ფუნქცია იყო. ამის გამო ოჯახის შერჩევისას უპირველესად ითვალისწინებდნენ ოჯახის უფროსი მამაკაცის დახელოვნებას სამხედრო საქმეში.

მომავალი ხანის აღზრდასთან ერთად მამამძუძეს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ვალდებულებაც ჰქონდა შესასრულებელი. მას საკუთარ შვილებში განსაკუთრებული ჩვევების ჩანერგვა და იმ საპატიო მოვალეობისთვის მომზადება ევალებოდა, რაც ტრადიციით ძუძუმტეს ეკისრებოდა – პირადი მცველის. ეს ძუძუმტის კარგ სამხედრო მომზადებას გულისხმობდა (უნდა დაეცვა და საჭიროების შემთხვევაში უყოყმანოდ გაეწირა საკუთარი სიცოცხლე მის გადასარჩენად), მრჩევლის, ერთგული მეგობრის... ძუძუმტეს ელემენტარული განათლებაც აუცილებლად ექნებოდა მიღებული. ხუნძეთის ხანის ვაჟი სრულწლოვანების შემდგომ თავის ოჯახს უბრუნდებოდა. ძიძიშვილი ამის შემდეგაც მისი განუყრელი მხლებელი ხდებოდა. ე. ი. ჰაჯი-მურადი ისევე იზრდებოდა როგორც ხუნძეთის სახანოს უპირველესი პირი.

ზემოთ მოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, ძუძუმტე ზედმიწევნით ერკვეოდა როგორც დაბალი, ასევე მაღალი წრის ცხოვრების, და ზოგადად, საზოგადოებრივი ყოფის ყველა ნიუანსში. იგი უშუალოდ მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესში (როგორც გადაწყვეტაში, ისე მის განხორციელებაში), მას პირადი ნაცნობობა აკავშირებდა კავკასიის პოლიტიკურ ელიტასთან (ანუ იცოდა მათი ნიჭისა და ხასიათის თავისებურებები – მათი დადებითი და უარყოფითი თვისებები). იმ შემთხვევაში თუ ძუძუმტე, ბედის წყალობით, ნიჭიერიც აღმოჩნდებოდა, ანუ ბუნებაც იზრუნებდა მასზე, იგი სახანოს პირველი პირისთვის შეუცვლელი ხდებოდა და ბუნებრივია, მისი გავლენა სახანოს საგარეო თუ საშინაო ცხოვრებაზე საკმაოდ დიდი იყო (ერთგული და ბრძენი მრჩეველი, საიმედო მცველი – მოკლედ შეიძლება ასე დავახასიათოთ ძუძუმტე).

ჰაჯი-მურადის ბიოგრაფია იმის შესანიშნავი მაგალითია, რომ ხუნძეთის ხან აჰმედს (1802-1823) (მისი შვილის ძუძუმტე იყო ჰაჯი-მურადი) გათვლა არ შეშლია და ოჯახიც შესანიშნავად შეურჩევია.

შეუდარებელი მეომრები იყვნენ ხუნძეთის ხანის ვაჟები. ისინი საკმაოდ ადრე გარდაიცვალნენ, თუმცა ის მწირი ცნობები, რომელიც მათი საბრძოლო ბიოგრაფიიდან შემორჩა, სიმამაცესა და კარგ სამხედრო მომზადებაზე მიანიშნებს [5, 575]. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰაჯი-მურადი და მისი ძმა ოსმანიც ყველა იმ თვისებით იყვნენ დაჯილდოებულნი, რაც ძუძუმტეს მოეთხოვებოდა – იყვნენ ერთგულები, გულადები, თავგანწირულები.

ოჯახი, რომლის ვაჟის ძუძუმტეც ჰაჯი-მურადი იყო, რუსების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩეოდა.

1802 წელს ჯენგუთაის ერთ-ერთმა ბეკმა სულთან-აჰმედმა [3, 25] ხუნძეთის უმა-ხანის (1774-1801) გარდაცვალების შემდეგ მის [15, 325] ქვრივ გიხილზე იქორწინა და ამ გზით ხუნძეთის ხანი გახდა [11, 354; 12, 3]. 1802 წელს მან რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა და დაენიშნა ყოველწლიური ჯამაგირი 5000 მან. ვერცხლით, თუმცა ამის შემდეგ მალევე იყო შემჩნეული ღალატში. 1803 წელს რუსეთის ხელისუფლებამ (საქართველოს მთავარსარდალმა პ. ციციანოვმა) მას ურჩობის გამო ჯამაგირის მიცემა შეუწყვიტა.

შემდგომ პერიოდში გართულებული საგარეო ვითარებისა და სპარსეთთან და ოსმალეთთან საომარი კონფლიქტების (1804-1813 წლების რუსეთ-სპარსეთისა და 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომები) გამო რუსეთმა კავკასიის მთის სამფლობელოების მიმართ ხისტ დამოკიდებულებას დათმობების პოლიტიკა არჩია.

აღნიშნულ პერიოდში ამას დაემატა აჰმედ-ხანის მიერ რუსეთის ხელისუფლების მიმართ გამოჩენილი დამსახურებაც, კერძოდ კი, 1806 წელს ჭარის ლეკების მორჩილებაში მოყვანაში შეტანილი წვლილი [11, 355].

1807 წელს – საქართველოს მთავარსარდალ გუდოვიჩის (1806-1809) დროს – რუსეთის იმპერატორმა თანხმობა განაცხადა რუსეთის საფარველის ქვეშ ხუნძეთის შესვლაზე. აჰმედ ხანმა კაპიტან ორბელიანთან რუსეთის ერთგულება კვლავ ფიცით დაადასტურა და ტიფლისში „ამანათი" გაგზავნა. მას კვლავ დაუნიშნეს პენსია და უბოძეს გენერალ-მაიორის ჩინი [11, 355].

რუსეთის ხელისუფლებაში კარგად ხვდებოდნენ, რომ ეს მოჩვენებითი ქმედება იყო [14, 197] – კავკასიის ადმინისტრაციას ინფორმაცია ინფორმაციაზე მისდიოდა რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლებში ხუნძების მონაწილეობის შესახებ. 1812 წელს კი ხუნძეთის ხანი სპარსეთთან ურთიერთობაშიც იყო შემჩნეული [2, 639] – თუმ-

ცა, რადგანაც კავკასიაში რუსეთს მცირერიცხოვანი სამხედრო კონტიგენტი ჰყავდა და ისიც სპარსეთთან და ოსმალეთთან საომარ მოქმედებებში იყო ჩართული, ხოლო ხუნძეთის ხანი რუსეთის წინააღმდეგ აშკარა და მასშტაბური გამოსვლებისგან თავს იკავებდა, რუსეთიც მის მიმართ დამსჯელი ღონისძიებების გატარებას თავს არიდებდა.

აჰმედ ხანის „მშვიდობიანობა“ 1818 წლამდე გაგრძელდა. როგორც კი რუსებმა (კავკასიის მთავარმმართებელი ინფ. გენ. ალ. ერმოლოვი – 1816-1827) ჩრდილო კავკასიის დაბლობზე ციხესიმაგრეების: გროზნაიას [8, 298], ვნეზაპნაიას, ბურნაიას მშენებლობა დაიწყეს და დაღესტნელებს დაბლობთან კავშირი შეუზღუდეს, აჰმედ-ხანი დაღესტნელთა ანტირუსულ ბრძოლას მაშინვე ჩაუდგა სათავეში [3, 4; 8, 301]. ამ ბრძოლაში მას გვერდიდან არ მოშორებია ძმა – ჯენგუთაის ხანი ჰასანი, რომელიც დაღესტნელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა [8, 308].

რუსეთსა და ხუნძეთის ხანებს შორის დაძაბულობამ კულმინაციას ალექსანდრე ბატონიშვილის ხუნძეთში ყოფნის გამო მიაღწია, რომელიც აქ 1818 წლის შემოდგომამდე იმყოფებოდა. ამის შესახებ აჰმედ ხანის ოჯახმა მხოლოდ მაშინ აცნობა რუსეთის ადმინისტრაციას, როდესაც ქართველმა ბატონიშვილმა დატოვა ხუნძეთი და სპარსეთში გაემგზავრა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ხუნძეთის ხანის ოჯახის რუსეთის ორგულობის აშკარა დადასტურებას წარმოადგენდა. უცნობი ავტორი წერდა: „1818 წელს, გენერალ ერმოლოვის ბრძანებით, სულთან აჰმედ-ხანს კვლავ შეუწყვიტეს ჯამაგირის მიცემა, რადგანაც მისმა ცოლმა რუსეთის კავკასიურ ადმინისტრაციას დროულად არ მიაწოდა დაპირებული ცნობები ბატონიშვილ ალექსანდრეზე. ამას დაემატა გავრცელებული ხმები ხანის მტრული მოქმედებებისა და დაღესტნის აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ“ [11, 355].

ამ პერიოდში ხუნძეთის ხანის ერთ-ერთი ვაჟი ჰაჯი-მურადის ოჯახში იზრდებოდა. ზოგი ისტორიკოსის მტკიცებით (მათ თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად არგუმენტები არ მოჰყავთ), ხუნძეთის ხანის უფროსი ვაჟი – აბუ-სულთან ნუსალ-ხანი – იყო ჰაჯი მურადის ძმის, ოსმანის ძუძუმტე და ე. ი. მისი თანატოლი [7, 206]; ა. ნევეროვსკის გადმოცემით კი, მეორე ვაჟი – უმა (ომარი) იყო ჰაჯი-მურადის ძუძუმტე [10, 31]. მე ნევეროვსკის თვალსაზრისს ვემხრობი – თავის მოხსენებით ბარათში ჰაჯი-მურადი ყოველთვის ახსენებს უმა-ხანს (ომარ-ხანს) (ის არაერთგზის წერს: „მე და ომარ

ხანი"), რომლის განუყრელი მხლებელიც, მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ თვითონ არის. ჰაჯი-მურადი უმა-ხანის ძუძუმტე რომ არ ყოფილიყო, ამ უკანასკნელს სხვა მხლებელი (ანუ სხვა ძუძუმტე) ეყოლებოდა. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ოსმანის აბუ სულთან ნუსალ-ხანის ძუძუმტეობასაც თავისი არგუმენტი აქვს. კერძოდ, ხუნძეთის ხანისა და მისი ძმის მკვლელობაზე შურისძიებისას მთავარი როლი სწორედ ოსმანმა შეასრულა.

1819 წლის აგვისტოში აჰმედ-ხანი დაღესტნელთა და ჩეჩენთა (6 ათასი ჩეჩენი) გაერთიანებული ძალებით რუსულ მშენებარე ციხესიმაგრე ვნეზაპნაიას სიახლოვეს (6 ვერსზე) დაბანაკდა [3, 11, 26-27].

ალ. ერმოლოვი იძულებული გახდა 29 აგვისტოს ურჩების დასასჯელად ვნეზაპნაიადან რაზმი გაეყვანა. დაღესტნელები დამარცხდნენ [3, 10]. ერმოლოვი წერდა: „3 სექტემბრის ღამით მოღალატე სულთან-აჰმედ-ხანი, მისი ძმა ჰასან-ხანი, რომელიც ჯარით მის დასახმარებლად იყო მოსული, პირველები გაიქცნენ. მათ დანარჩენები ისეთი სისწრაფით მიჰყვნენ, რომ პურიც კი, რომელიც ძალიან სჭირდებათ, დატოვეს და სიმსუბუქისთვის გადაყარეს ტანსაცმლის ნაწილიც. მე მარშით გავიარე მთელი მთა. ყველგან ვთესავდი შიშს... გავანადგურე რამდენიმე აული და მინდორში მთელი პურის ნათესები და გზაზე არცერთი ადამიანი არ შემხვედრია. მტერი მთლიანად გაიფანტა". ერმოლოვი ვნეზაპნაიაში 5 სექტემბერს დაბრუნდა [3, 27].

საქართველოს მთავარსარდალი მხოლოდ დაღესტანში ლაშქრობას არ დასჯერდა. მან სულთან აჰმედ-ხანის ოჯახს ხანის ტიტული ჩამოართვა და სურხაი-ხანს გადასცა. ამ უკანასკნელის შესახებ 1819 წლის 27 სექტემბერს ალ. ერმოლოვი ალექსანდრე I-ს სწერდა: „ხუნძეთში მოვძებნე ყოფილი ხანის ნათესავი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ყველა წესით ეკუთვნის სახანოს მართვა, რასაც ის მოკლებული იყო ყოფილი ხანის ცოლის სივერაგის გამო, რომელიც ამჟამად არის გამყიდველი ხანის ცოლი. მის მხარეს ჩემი წყალობით უკვე ბევრი ხალხია. ავარიას ვაჭრობა შევუზღუდეთ. მე ამჟამად ამ კაცს ვგზავნი ხუნძეთში, რომ ისარგებლოს ხელსაყრელი სიტუაციით, რაც შეიქმნა მოღალატე ხანის დამარცხების შემდეგ. ასე რომ დაისჯება მოღალატე" [3, 27].

არსებული ცნობებით, ერმოლოვის მიერ ნახსენები სურხაი იყო ხუნძეთის ხანის უმა V-ის ძმის – გებეკას – უკანონო შვილი. ალკადარი აღნიშნავს, რომ გებეკაც უკანონო შვილი იყო [7, 176]. რადგანაც სურხაი გებეკას ჩანკასგან (მდაბიო ქალისგან) ჰყავდა, დაღესტნელთა

ადათის მიხედვით, მას არ ჰქონდა ხანის ტიტულის მიღების უფლება, რის გამოც იყო ყველასთვის უცნობი და იმყოფებოდა დამცრობილ მდგომარეობაში [11, 354]. 1819 წლის დეკემბერში სურხაის ხუნძეთის ხანის ტიტული უკვე რუსეთის იმპერატორმა დაუმტკიცა [11, 356].

ერმოლოვმა ხუნძების წინააღმდეგ სანქციებიც გაამკაცრა – მათ რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე (მათ შორის ნუხასა და კახეთში) ვაჭრობა აეკრძალათ [3, 26], რაც ძალზე დიდი დარტყმა იყო მათთვის, რადგანაც აღნიშნული სახანო სიმწირით გამოირჩევა და მის მცხოვრებლებს საკუთარი მოსავლით თავის გატანა მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში შეუძლიათ [16, 19]. ეს ღონისძიება რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ოდნავ მოგვიანებით ახალი ხანის – სურხაის – გავლენის განმტკიცების მიზნითაც გამოიყენა – ერმოლოვმა მხოლოდ იმ ხუნძებს დართო ბართან ვაჭრობის ნებართვა, რომლებიც გამშვებ პუნქტზე სურხაის ბეჭდიან ბილეთს წარადგენდნენ [3, 26].

1820 წელს გარდაიცვალა ჯენგუთაის ხანი ჰასანი [3, 11, 28], რომელიც, რუსი მოხელეების შეფასებით, „უფრო დიდი შფოთისთავი იყო", ვიდრე მისი ძმა, ხუნძეთის ხანი აჰმედი [3, 4, 11, 22, 23]. ამ უკანასკნელმა კი ამქვეყნიური ცხოვრება 1823 წელს დატოვა [3, 18].

1828 წლიდან რუსულ დოკუმენტებში კვლავ ჩნდებიან ხუნძეთის ხანის აჰმედის ოჯახის წევრები. 1828 წლის ზაფხულში ხუნძეთის ხანის სულთან-აჰმედის უფროსმა ვაჟმა აბუ-სულთან ნუსალმა მფარველობაში შესვლის თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას [4, 520], 9 სექტემბერს კი ოჯახისა და ქვეშევრდომების სახელით რუსეთის ერთგულებაზე საზეიმოდ დაიფიცა.

კავკასიის მთავარმმართებელმა გენ. ფელდმ. გრაფმა ი. ფ. პასკევიჩმა (1827-1831) 9 წლის განმავლობაში გამოჩენილი ერთგულებისთვის, ხუნძეთის ხანის ტიტული შეუნარჩუნა სურხაი-ხანსაც, ოღონდ მოახდინა სამფლობელოების გამიჯვნა, ანუ 1828 წლიდან რუსეთმა ხუნძეთში ორი მმართველი დასვა (აბუ-ნუსალ-ხანი და სურხაი-ხანი), რადგანაც ეს რუსეთის ინტერესებისთვის სასარგებლოდ მიიჩნია. 1829 წლის მარტში იმპერატორის ბრძანებით, ხუნძეთის ორივე ხანს: აბუ-ნუსალ სულთანს და სურხაი ხანს მიენიჭათ პოლკოვნიკის ჩინი და დაენიშნათ ყოველწლიური პენსია 2000 მან. ვერცხლით. მათ ასევე გადაეცათ დროშები საიმპერატორო ღერბით და ძვირფასი ხმლები წარწერით. აბუ-ნუსალ-ხანის ოჯახის წევრებმა კი საჩუქრებიც მიიღეს. აბუ-სულთან-ნუსალ-ხანი და სურხაი ხა-

ნი პასკევიჩისგან მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი, რომ იმპერატორის წყალობით მხოლოდ მას შემდეგ ისარგებლებდნენ, როდესაც ურთიერთშორის მტრობას შეწყვეტდნენ [11, 356-357].

1828 წელს დაღესტანში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – მიურიდების პირველი იმამი ყაზი მოლა გახდა (1828-1832). იგი წარმოშობით ხუნძეთიდან იყო. მიურიდები დაღესტნის მცხოვრებლებში შარიათის დანერგვას ცდილობდნენ, რომელიც მხოლოდ სასულიერო ხელისუფლებას ცნობდა და ყველა მუსულმანის თანასწორობას ქადაგებდა [11, 357]. ამ პრინციპიდან გამომდინარე მიურიდებისა და ხუნძეთის ხანების ინტერესები ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო.

1830 წელს ყაზი-მოლამ ხუნძეთის აბუ-სულთან ნუსალ-ხანს მის მხარეზე გადასვლა და შეერთებული ძალებით აკუშაზე გალაშქრება მოსთხოვა. გამარჯვების შემთხვევაში იგი ყაზი-ყუმუხზე ლაშქრობას, ასლან-ხანის დამარცხებას და რუსულ ჯარზე თავდასხმას გეგმავდა. ხუნძეთის ხანი აბუ-ნუსალი და მისი დედა, რომელიც ხუნძეთის სახანოს რეალური მმართველი იყო, მას არ მიემხრნენ [11, 357].

იმამად გახდომიდან ორი წლის შემდეგ, ყაზი-მოლას ბრძანებით, მიურიდებმა იერიში ხუნძეთის ხანების რეზიდენციაზე (აულ ხუნძახზე) განახორციელეს. ჰაჯი მურადი ამ დროს უკვე სრულწლოვანი იყო და პირადად იღებდა მონაწილეობას აღნიშნულ ამბებში. სწორედ ამ მოვლენის აღწერით იწყებს იგი თავის მოხსენებით ბარათს:

„ყაზი-მოლას დროს მე, ჰაჯი-მურადი და ხუნძეთის მაშინდელი მმართველი ომარ-ხანი, ვიყავით მშვიდობიანები. ამის გამო ყაზი-მოლა ჩვენ გვმტრობდა და ყველა საშუალებით ცდილობდა ხუნძეთი თავის მხარეს გადაეყვანა. დაინახა რა, რომ მოლაპარაკებებით ამის მიღწევა შეუძლებელი იყო, შეაგროვა მომხრეთა დიდი პარტია და ალყა შემოარტყა ხუნძახს. ხუნძებმა თავდაცვა გადაწყვიტეს. ყაზი-მოლა უკუიქცა და მოკლულთა სახით დაახლოებით 100 ადამიანი დატოვა. მათთვის წართმეული „ნიშნები“ ჩვენ მაშინ ტიფლისში საქართველოს მთავარსარდალთან გამოვგზავნეთ [6, 525]. ამ დროს მოკლეს მამაჩემიც“.

საქმე ეხება 1830 წლის თებერვალ-მარტში მომხდარ ამბებს. ჰაჯი მურადი „მშვიდობიანობაში“ რუსეთის ერთგულებაზე ხუნძების დაფიცებას გულისხმობს. აღნიშნულ მოვლენებზე მაიორი ყორღანოვი პასკევიჩს 1830 წლის 15 მარტს შემდეგს წერდა: „თებერვალში ყაზი-მოლამ შეუტია ავარიას. მივიდა ხუნძახში და მოითხოვა, რომ ავარიის ხანი დამორჩილებოდა და მის პარტიას შეერთებო-

და. შემდეგ ის რუსებზე შეტევას გეგმავდა. ავარიის ხანი ციხესიმაგრეში გამაგრდა და არ მიიღო მისი წინადადება. ყაზი-მოლამ იერიში მიიტანა. ავარიის ხანი ციხიდან გამოვიდა და დაამარცხა ყაზი-მოლა, რომელმაც მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 380 ადამიანი. ამბობენ, რომ თვით ყაზი-მოლაც დაიჭრა" [4, 515]. მიურიდებზე გამარჯვებისთვის რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ხუნძეთის ხანს წყალობის სიგელი, ხოლო მისი ოჯახის წევრებს საჩუქრები გაუგზავნა [11, 356-357].

1831 წელს ყაზი-მოლას მომხრეთა რიცხვი გაიზარდა [5, 532, 534]. იგი გამუდმებულ თავდასხმებს ახორციელებდა რუსულ სამხედრო პოსტებზე. ერთ-ერთი რუსული ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, ამ დროს (1831 წლის ბოლოს) ყაზი-მოლას მხარეს უკვე გადასულა ხუნძეთის ხანის ოჯახი, რომელთა ქვეშევრდომები მიურიდებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ რუსების წინააღმდეგ 1832 წლის ოქტომბერში აულ გიმრთან ბრძოლაში [5, 574]. პირველი იმამი გიმრის ალყის დროს მოკლეს რუსებმა [5, 564]. მასთან ერთად სანგარში მყოფი ცამეტი მიურიდიდან ცოცხალი მხოლოდ შამილი გადარჩა [7, 201].

ყაზი-მოლას შემდეგ იმამი ჰამზათ ბეკი გახდა (1832-1834).

რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჰამზათ ბეკმა ჯერ კიდევ ყაზი-მოლას სიცოცხლეში გამოიჩინა თავი. მის დაპატიმრებას, რუსეთისთვის გადაცემას ან ლიკვიდაციას არაერთგზის სთხოვდა ხუნძეთის ხანის ოჯახს რუსეთის კავკასიური ადმინისტრაცია, თუმცა ისინი ამაზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ [5, 565-566, 567].

ჰამზათიც წარმოშობით ხუნძეთის სახანოდან იყო. ის აულ გოცატლში ცხოვრობდა [5, 585]. ყმაწვილობაში მშობლებმა სასწავლებლად აულ ხუნძახში გაგზავნეს და ხანის ოჯახმა შეიფარა. მასზე დიდი ამაგი ჰქონდა ხუნძეთის ხანის ცოლ პახუ-ბიკეს (პახუ-ბიკე იყო ხუნძეთის ხან უმა V-ის ქალიშვილი, რომელიც, ხუნძეთის ხანის ტიტულის განმტკიცების მიზნით, უკვე ხუნძეთის ხან აჰმედს ცოლად შერთო დედინაცვალმა გიხილმა, რომელიც თვითონაც აჰმედ ხანზე იყო დაქორწინებული). თუმცა მხოლოდ ჰამზათთან პირადი ნაცნობობა არ იყო ხუნძეთის ხანის ოჯახის მხრიდან რუსეთისთვის მის გადაცემაზე უარის თქმის მიზეზი. პახუ-ბიკეს რუსეთის მომხრეობა მხოლოდ მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და სინამდვილეში ის მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. ჰამზათის გადაცემაზე მისი უარი იყო გარკვეული განაცხადი, რომ რუსების ერთგულება-

ზე დაფიცების მიუხედავად ხუნძეთის ხანის ოჯახი რუსეთის კარნახით სახანოს მართვას არ აპირებდა.

პახუ-ბიკეს (მართვის საქმეებში შვილის — ახალგაზრდა აბუ ნუსალ ხანის – გამოუცდელობის გამო, ხუნძეთს ფაქტიურად პახუ-ბიკე განაგებდა) საპასუხო წერილში ვკითხულობთ: რომ მართალია, ჰამზათ ბეკი მათ რეზიდენციასთან ახლოს ცხოვრობს და მისი მოკვლა სავსებით შესაძლებელია, თუმცა ეს ძალიან რთულია, რადგანაც ის არის ისლამის დამცველი და რჩეული და ასეთი ქმედება შარიათის დარღვევას ნიშნავს. მისი ნათესავებიც სიყვარულით ემსახურებიან ხანის ოჯახს, რის გამოც მის დასჯას არ აპირებს [5, 570].

აღნიშნული წერილი მეტად საინტერესოა, რადგანაც მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ ხუნძეთის ხანის ოჯახი უკვე მიურიდების მხარეს გადასულა, ყოველ შემთხვევაში „შარიათის დარღვევაზე" განაცხადი, ამ მოძრაობისადმი მათ თანაგრძნობაზე მეტყველებს.

1833 წლის 14 სექტემბრის როზენის ჩერნიშევისადმი მიწერილ წერილში უკვე პირდაპირ წერია, რომ ხუნძეთის ხანის ქვრივმა თავისი ვაჟებით ჰამზათ ბეკს რუსების წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე თანხმობა განუცხადა და შარიათთან შეერთების ფიცი დადო [5, 571]. ისინი ერთობლივად ცდილობდნენ რუსების წინააღმდეგ მთიანი დაღესტნის აჯანყებას [5, 572].

1834 წლის დასაწყისიდან რუსეთის ხელისუფლება ხუნძეთის ხანის ოჯახს ჯამაგირს აღარ აძლევდა და მათთან ყოველგვარი ურთიერთობაც გაწყვიტა [5, 575].

ამ ხერხმა იმოქმედა. ხუნძეთის ხანის ოჯახმა ჰამზათისგან განდგომა დაიწყო [5, 575]. მათ შორის მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა ჰამზათის თავდასხმამ ხუნძეთის ხანის ოჯახის კუთვნილ ცხვრის ფარაზე. ხუნძეთის ახალგაზრდა ხანებმა თავდაცვისას ჰამზათს ცხრა ადამიანი მოუკლეს, მათ შორის მისი ბიძაშვილი და უახლოესი მეგობარი. მძიმედ დაიჭრა ჰამზათიც [5, 575]. ქონების დაცვისას ჩადენილი მკვლელობა არც შარიათის და არც ადათის მიხედვით სასჯელს არ ექვემდებარება.

1834 წლის 12 აპრილს ბარონი როზენი სწერდა ჩერნიშევს: „ნუსალ-ხანისა და მისი ახლობლებისთვის ჯამაგირის შეწყვეტამ, ეშმაკ პახუ-ბიკეს საჩივრებზე ყურადღების მიუქცევლობამ... სასურველი წარმატება მოგვიტანა. პახუ-ბიკესა და ჰამზათ ბეკს შორის თავდაპირველად წარმოიშვა უკმაყოფილება, რომელიც ბოლოს აშკარა მტრობაში გადაიზარდა" [5, 576].

პახუ-ბიკე იძულებული გახდა დახმარება რუსებისთვის ეთხოვა – მან 1834 წლის აპრილში ერთგულების დასამტკიცებლად მეორე ვაჟი უმა-ხანი (ომარ-ხანი) „ამანათად“ (მძევლად) გაგზავნა ტიფლისში. მასთან ერთად იმყოფებოდა ჰაჯი მურადიც, რომელიც ამ ამბის შესახებ შემდეგს ყვება:

„რუსების მიერ ყაზი-მოლას მოკვლის შემდეგ გამოჩნდა ჰამზათ-ბეკი; ისიც განადგურებით გვემუქრებოდა. მე და ომარ-ხანი იძულებულნი გავხდით ათი დღით ჩამოვსულიყავით ტიფლისში და მის წინააღმდეგ დახმარება გვეთხოვა. თუმცა ვიცხოვრეთ რა ტიფლისში ათი დღე და ვერ მივიღეთ სასურველი დახმარება, სახლში დავბრუნდით“ [6, 525].

1834 წლის ზაფხულში ვითარება ხუნძეთში დრამატულად წარიმართა. ორივე მხარე მომხრეებს იკრებდა და ერთმანეთის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა [5, 578]. ივლისში ჰამზათმა ალყა შემოარტყა ხუნძეთის ხანების რეზიდენციას და მოკლა ხუნძეთის ხანის ვაჟები [5, 581]. ჰაჯი მურადი ამ მოვლენას ასე აღწერს:

„ავარიაში ჩვენი მისვლიდან მალევე, ხუნძახს ალყა შემოარტყა ჰამზათ-ბეკმა. არ გვყავდა რა თავდაცვისთვის საკმარისი ძალები, გადავწყვიტეთ მისთვის „ამანათები“ მიგვეცა, რომელთა შორისაც იყო ხუნძეთის ხანის უმცროსი ძმა; მძევლების მიცემის მომენტში მტერთან გაიმართა კამათი: ომარ-ხანი თავის ორ ძმასთან და ოცამდე მომხრესთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის შემდეგ ჰამზათ-ბეკმა დაიკავა ხუნძახი და ორი თვის მანძილზე მართავდა მთელ ხუნძეთს“ [6, 526].

ამ დროს ჰამზათ ბეკს 10000 მეომარი ჰყავდა [5, 587]. თუმცა ის შემდგომ პერიოდში განიცდის წარუმატებლობას წუდახარელებთან და აკუშელებთან ბრძოლაში [5, 588].

ხუნძეთში მომხდარმა ტრაგედიამ დაღესტნელებზე მძიმე ზეგავლენა მოახდინა. სექტემბერში ხუნძეთის სახანოში ჰამზათ ბეკის წინააღმდეგ მღელვარება დაიწყო. 7 სექტემბერს შეთქმულებმა, რომელთა ერთ-ერთი მეთაური ჰაჯი მურადი იყო, მეორე იმამი ხუნძახის მეჩეთში მოკლეს [5, 588]. მისი აღწერით:

„გამუდმებით ვისახავდი რა მიზნად დამებრუნებინა ჩემი სამშობლოსთვის თავისუფლება და მსურდა, რომ ჩამომეგდო ჰამზათი, ჩემს უფროს ძმა ოსმანთან ერთად თავი მოვუყარე 10 თანამოაზრეს და მეჩეთში მოვკალით ის. ჩემი ძმა ოსმანი, რომელმაც ჰამზათს ხანჯალი ჩაარტყა, მისმა ნუქერებმა მოკლეს. ჰამზათის ახლობლები

ხანის სახლში გამაგრდნენ. მათ არ სურდათ დანებება, მაგრამ იქიდან გამოვდევნეთ და ხრამში გადავყარეთ“ [6, 526].

მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა რუსული რაზმი კლიუკი ფონ კლუგენაუს ხელმძღვანელობით ხუნძეთში. 1834 წლის 20 ოქტომბერს ხუნძეთის მამასახლისებმა საზეიმოდ დაიფიცეს რუსეთის ერთგულებაზე და დადეს პირობა, რომ გარდაცვლილი ხუნძეთის აბუნუსალ ხანის ახლადდაბადებული ვაჟის სრულწლოვანებამდე, დაემორჩილებოდნენ მათი სურვილით არჩეულ ახალ მმართველს, ყაზიყუმუხისა და კიურის ხან ასლანს [5, 593].

ჰაჯი მურადი მოხსენებით ბარათში წერს: „ამის შემდეგ ავარელებმა თავიანთ უფროსად ამირჩიეს და დიდი ხნის მანძილზე ვმართავდი ავარიას“ [6, 526].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, III, Тифлис, 1869.
2. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, V, Тифлис, 1873.
3. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, VI, 2, Тифлис, 1875.
4. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, VII, Тифлис, 1878.
5. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, VIII, Тифлис, 1881.
6. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, X, Тифлис, 1885.
7. Алкадари, Асары Дагестана, Махачкала, 1929.
8. Дубровин Н., История войны и владычества Русских на Кавказе, VI, СПб, 1888.
9. Кавказ. Адаты горских народов, Нальчик, 2010.
10. Неверовский А. А., Истребление Аварских ханов в 1834 году, Отрывок из рукописи подполковника генерального штаба, СПб, 1848.
11. Неизвестный автор, Записка о сношениях наших аварскими ханами, История, география и этнография Дагестана XVIII-XIX вв. Архивные материалы, Москва, 1958.
12. Мехтулинские Ханы, Сборник сведений о кавказских горцах, вып. 2, Тифлис, 1869.

13. Потто В. А., Гаджи-Мурат (Биографический очерк), Военный сборник, № 11, СПб, 1870.
14. Потто В. А., Кавказская война в отдельных очерках, Эпизодах, легендах и биографиях, Т. 2-й, Эрмоловское время, СПб, 1887.
15. ნ. ჯავახიშვილი, უმა V, კრებულში: ისტორიანი, თბილისი, 2014.
16. მ. ტყავაშვილი, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბილისი, 1990.

Mzia Tkavashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History And Ethnology, Scientist-Researcher of the Department of Modern and Contemporary History

For a Political Portrait of Hadji Murad (Part I)

Summary

Hadji Murad was one of the outstanding commanders of national liberation struggle of the Caucasian people against Russia.

He was presumably born in 1815 in Khuzait Khanate. Hadji Murad was Nanny's son of the sons of Khuzait Khanate Khan Ahmed, one of the most authoritative and influential rulers of Dagestan, which meant he participated personally in political processes in Dagestan.

The first half of the XIX century was a difficult period for Dagestan people. Mourides established their influence in North-East Caucasus, which was related to many difficulties and blood. They had special irreconcilable attitude towards the family of Khuzait Khanate Khan, which ended in liquidation of Avar Khanate in 1834. In a few months after this incident Khuzait conspirators took revenge and killed the Second Imam, Hamzat Beck, who had ordered to kill the family of Khuzait Khanate, in the mosque. Hadji Murad and his brother – Osman participated in these events.

Since 1818, the Russian government started to implement active politics to subjugate Dagestan, which takes advantage of the feud between Mourides and Khuzaits and appoints his loyal man as Khuzait Khan. Since 1834, Hadji Murad practically rules in Khuzait.